## გაკვეთილის გეგმა

## (ჩატარების თარიღი-5.11.2017)

**მასწავლებლის სახელი,გვარი:**ნათელა მაჭარაშვილი

**საგანი:**ისტორია

**სწავლების საფეხური/კლასი:**საშუალო/XI[1]კლასი

**მოსწავლეთა რაოდენობა:**31

**გაკვეთილის თემა:**
ქრისტიანობა-მსოფლიო რელიგია.
ქრისტიანობის ჩამოყალიბება და გავრცელება

**გაკვეთილის მიზანი:**

-მოსწავლეები შეძლებენ წინაქრისტიანული რელიგიური წარმოდგენების გახსენებას და მის დაკავშირებას/გავლენას ხელოვნებასა და ყოფაზე;
-მოსწავლეები შეძლებენ ქრისტიანობის გავლენის შეცნობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე,გაავლებენ პარალელს სხვა ქვეყნებთან;
-მოსწავლეები შეძლებენ საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრასა და შეფასებას ქრისტიანობის გავრცელებისას;

| # | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი/მეთოდები | კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები | სასწავლო რესურსები | დრო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მონიტორზე გამოდის რენე დეკარტის სიტყვები:,,ღმერთი სიყვარულია... ღმერთმა ისეთები შეგვქნა, ისეთი გრძნობათა ორგანოები მოგვცა, რომ ჩვენ შეგვიძლია სამყაროს შეცნობა,,.<br><br>კითხვა1-ამ სიტყვებიდან გამომდინარე,რა კავშირია ღმერთს, ადამიანსა და სამყაროს შორის?<br><br>კითხვა2-ეთანხმებით თუ არა რენე დეკარტის ამ სიტყვებს? დადასტურების ან უარყოფის შემთხვევაში პასუხი | ფიქრი-პარტნიორთან მსჯელობა-გაზიარება,ინსტრუქცია,ჰიპოთეზები,ანალიზი,დასკვნების გამოტანა,ალტერნატივები, დაზუსტება, კითხვა-პასუხი | წყვილები | p.p.-ში დაფიქსირებული დაკარტის სიტყვები,კითხვები | 3წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | დაასაბუთეთ.ინსტრუქცია-წყვილები ჯერ ფიქრობენ ინდივიდუალურად, შემდეგ მსჯელობენ ერთმანეთში, შემდეგ კი რამდენიმე წყვილი კლასს უზიარებს თავის აზრს. | | | | |
| 2 | p.p-ის სლაიდზე დაფიქსირებულია გრაფიკული ორგანიზატორი ,,დაფარული კითხვები,, ფერადი რამდენიმე წრით.წრეების ქვეშ დაფარულია ინფორმაცია წინაქრისტიანული რელიგიური წარმოდგენების ცალკეული მიმართულებების შესახებ. მოსწავლეები საკუთარი სურვილით ირჩევენ ფერს და მოკლე ინფორმაციას აწვდიან კლასს ამ ფერის ქვეშ არსებული თემების შესახებ.ამ აქტივობით მოხდება წინაქრისტიანული რელიგიური წარმოდგენების დაკავშირება ადამიანთა მატერიალურ თუ სულიერ სფეროსთან. | გრაფიკული ორგანიზატორის-,,დაფარული კითხვების,,მეშვეობით წინარე ცოდნის გახსენება/გააქტიურება,კავშირების დადგენა,კითხვა-პასუხი,ინფორმაციის ორგანიზება,დასკვნების გამოტანა. | ინდივიდუალური | p.p.ში დაფიქსირებული გრაფიკული ორგანიზატორი-,,დაფარული კითხვები,, | 3წთ |
| 3 | გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა,შეფასების რუბრიკების გაცნობა | თემისა და მიზნის ვერბალური გაცნობა,დაფაზე | საერთო საკლასო | თემის,მიზნისა და შეფასების რუბრიკების | 2წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | დაფიქსირება,შეფასების რუბრიკების გაცნობა | | ამობეჭდილი ვერსია,p.p.-ში შეტანილი თემა,მიზანი. | |
| 4 | მოსწავლეები გაკვეთილის დასაწყისში კლასში განთავსებული არიან ნახევარწრეზე. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად ინტერესის მიხედვით. იქმნება ოთხი ჯგუფი.ჯგუფებს ურიგდებათ ფლიპჩარტები და ეძლევათ ინსტრუქცია:<br>1.თქვენ დაგირიგდათ ფლიპჩარტები, რომელზედაც დაფიქსირებულია ,,სეგმენტური მატრიცას,, მხოლოდ ცენტრალური ნაწილი – ჯგუფის საერთო და განსხვავებული იდეების დასაფიქსირებლად.<br>2.,,სეგმენტური მატრიცას,, ცენტრალურ არეზე დააფიქსირეთ იმდენი განშტოება, რამდენი მოსწავლეცაა ჯგუფში ერთის გამოკლებით–ანუ შექმენით ინდივიდუალური სეგმენტი.<br>3. ინდივიდუალურ სეგმენტში ჯგუფის თითოეული წევრი დამოუკიდებლად მუშაობთ ,რასაც ადასტურებთ ხელის მოწერით.<br>4.ინდივიდუალურ სეგმენტში მუშაობის დროს ჯგუფის წევრებს გეკრძალებათ ერთმანეთთან კომუნიკაცია.<br>5. ყველა ჯგუფი ირჩევს ერთ წარმომადგენელს თავისი ჯგუფიდან, | ,,სეგმენტური მატრიცა,, ინსტრუქცია, დამოუკიდებლად ჩანაწერების გაკეთება,ინფორმაციის გამთლიანება,შესრულებული დავალების კლასის წინაშე წარდგენა,მასწავლებლის მიერ კონკრეტული ინფორმაციით მოსწავლეთა იდეების შევსება | ჯგუფები, თუმცა ჯგუფის წევრები თავდაპირველად მუშაობენ ინდივიდუალურად | p.p–ის სლაიდზე დაფიქსირებული ,,სეგმენტური მატრიცა,,ფლიპჩარტი მასზე დატანილი მატრიცის ნაწილით,პასტები ,მარკერები,სურათები–კატაკომბა, მახარებლები,სახარება(ლინკები დაფიქსირებულია ჩემს პრეზენტაციაში p.p.–ში) | 12წთ–(ჯგუფების შექმნა–1წთ,ინსტრუქცია–1წთ ,ინდივიდუალურ სეგმენტში მუშაობა–2წთ, ცენტრალურ სეგმენტში გადატანა–3წთ ,კლასის წინაშე წარდგენა–4წთ(1წთ თითო ჯგუფს),1წთ ჩემს მიერ მოკლე ინფორმაციის მიწოდება |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რომლის მოვალეობაა მისი ჯგუფის ყველა წევრის აზრის წაკითხვა, მსგავსებების ჩანიშვნა, განსხვავებული იდეების დაფიქსირება , რათა დახმარება გაუწიოს ჯგუფს ცენტრალურ ნაწილში აზრების დროულად ჩაწერაში.<br>დავალება კი ასეთია:ჯგუფის თითოეულმა წევრმა თქვენთვის განკუთვნილ სეგმენტში უნდა შეიტანოთ ყველა ის ძირითადი მონაცემი, რომელიც ქრისტიანობის შესახებ იცით(ჩამოყალიბება, გავლენა, წინააღმდეგობა, ქადაგება,ქრისტიანული ქვეყნები...).კონკრეტული დროის გასვლის შემდეგ( ეს დრო ჯგუფებს წინასწარ ეცოდინებათ), რომელსაც მე გიკარნახებთ, ცენტრალურ სეგმენტში გადაიტანთ ინფორმაციას, შემდეგ კი ყველა ჯგუფი წარადგენს ნაშრომს კლასის წინაშე.ჩემს მიერ კი ხდება მცირე ინფორმაციის მიწოდება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. | | | | |
| 5 | ჯგუფებს ეძლევათ დავალება,რომ გაიხსენონ რომელიმე მომენტი ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისას, რომელიც სასწაულთან არის დაკავშირებული(თუ ვერ შეძლებენ, | კითხვა-პასუხი,ჰიპოთეზებ ი, ალტერნატივები,მასალის სისტემატიზაცია,დასკვნები ს გამოტანა, შემთხვევის | ჯგუფები | | 6წთ(2წთ-ჯგუ ფში მსჯელობა, |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | რა თქმა უნდა,მიმანიშნებელი კითხვებით დავეხმარები).და თან უპასუხონ კითხვას, რა მნიშვნელობა ჰქონდა ასეთ ,,სასწაულებს,, ქრისტიანობისათვის. | ანალიზი,მიმანიშნებელი და დამაზუსტებელი კითხვები | | | 4წთ-წარდგენ ა-1წთ თითო ჯგუფს) |
| 6 | ჯგუფებს ურიგდებათ კონკრეტული ტექსტები :კონსტანტინე პირველი და ქრისტიანობა(პირველი ჯგუფი), ხლოდვიგი და ქრისტიანობა(მეორე ჯგუფი), თრდატ მესამე და ქრისტიანობა(მესამე ჯგუფი) და დიოკლეტიანე და ქრისტიანობა(მეოთხე ჯგუფი).<br>ინსტრუქცია-წაიკითხეთ ტექსტები, გამოყავით ტექსტიდან საკვანძო საკითხი/საკითხები, მოიყვანეთ არგუმენტები/მაგალითები საკუთარი მოსაზრების/შეხედულების დასადასტურებლად და დააფიქსირეთ p.p.-ში ,,საკვანძო საკითხების რუკაზე,,(,,საკვანძო საკითხების რუკა,,ჩემს მიერ არის წინასწარ შეტანილი p.p.-ში) ყველა ჯგუფიდან გამოდის ორი მოსწავლე(რიგითობის დაცვით)-ერთ მოსწავლეს გადააქვს ინფორმაციაp.p.-ში დაფიქსირებულ,,საკვანძო საკითხების რუკაზე,,მეორე კი ვერბალური სახით | გრაფიკული ორგანიზატორი-,,საკვანძო საკითხების რუკა,,ინსტრუქცია,ინფორმ აციის/ტექსტების დამუშავება,კონკრეტული შემთხვევების ანალიზი, დასკვნების გამოტანა, სხვადასხვა სახით დემონსტრირება, | ჯგუფები | p.p.-ში დაფიქსირებული გრაფიკული ორგანიზატორი-, ,საკვანძო საკითხების რუკა,, დაბეჭდილი ტექსტები | 9წთ(4წთ ტექსტის დამუშავება,5წ თ ,,საკვანძო საკითხების რუკაზე ,,დაფიქსირება და კლასის წინაშე ვერბალური წარდგენა-1წთ +-15წმ თითო ჯგუფს) |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | გვაწვდის ინფორმაციას. საბოლოოდ, სახეზე გვექნება ყველა ჯგუფის ყველა ტექსტის საკვანძო/ძირითადი საკითხები. | | | | |
| 7 | მონიტორზე გამოდის ქართული ხუროთმოძღვრების რუკა,ქრისტიანული ტაძრის ფრაგმენტი-ბარელიეფი და მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ კითხვას:<br>1. ქრისტიანული რელიგიის რა სახის გავლენა ჩანს ამ კონკრეტულ ბარელიეფსა და რუკაზე?<br>2. შეინარჩუნა თუ არა ქრისტიანობამ ერთიანობა?<br>3. როგორია ქრისტიანობის გეოგრაფიული გავრცელების არეალი?ამ კითხვაზე პასუხის შემდეგ სლაიდზე გამომაქვს რელიგიების რუკა და მოსწავლეები გადაამოწმებენ მათ მიერ გაცემული პასუხების სისწორეს/შესაბამისობას რუკასთან. | კონკრეტული რუკებისა და ბარელიეფის ანალიზი,ინფორმაციის ორგანიზება,დამუშავება, | ინდივიდუალური | ქართული ხუროთმოძღვრების რუკა,ტაძრის ბარელიეფის ფრაგმენტი,რელიგიური რუკა | 3წთ |
| 8 | ერთობლივი რესურსის შექმნა | ჩემს მიერ ფორმატზე დატანილი ინფორმაციის შევსება მოსწავლეთა მიერ | ინდივიდუალური | ფორმატი, მარკერები,ფერადი ფანქრები | 2წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ნახატის, სიმბოლოების ან მუხლობრივი მინაწერების სახით გაკვეთილზე მიღებული ცოდნის საფუძველზე. | | | |
| 9 | შეფასება-მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი შეფასების საფუძველზე გაკვეთილის დასაწყისში გაცნობილი კრიტერიუმების მიხედვით. | განმავითარებელი შეფასების განხორციელება კონკრეტულ რუბრიკებზე დაყრდნობით | საერთო საკლასო | განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები-დაკვირეების ფურცელი წყვილებში მუშაობისათვის, დაკვირვების ფურცელი ჯგუფებში მუშაობისათვის, მიზნის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები | 3წთ |
| 10 | საშინაო დავალება-მოიძიეთ ინფორმაცია ან კაპადოკიელი მამების, ან მახარებლების შესახებ და იმსჯელეთ მათ როლზე ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და განმტკიცების საკითხში.ე.ი. თქვენ გაქვთ საკითხის | არჩევითი დავალება,მასალის მოძიება,მოძიებული მასალის დავალებასთან შესაბამისობა,სხვადასხვა | ინდივიდუალური ან ჯგუფური | საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები | 1წთ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | შერჩევის საშუალება(დავალება შეიძლება წარმოადგინოთ წერითი, ზეპირი,კომპიუტერული პრეზენტაციის სახით). დავალების შესრულება შესაძლებელია ერთობლივადაც(რამდენიმე მოსწავლე). დავალება შეგიძლიათ გადმომიგზავნოთ ჩემს ფოსტაზე ან facebook-ზე. | სახით ნაშრომის წარმოდგენა | | | |
| 11 | მოსწავლეთა უკუკავშირი-ერთწინადადებიანი შეჯამება ანუ მოსწავლეები ერთი წინადადებით შაჯამებენ გაკვეთილზე განხილულ საკითხებს . | საკითხის სიღრმისეული გააზრება და ერთი წინადადებით გაკვეთილის შეჯამება,თვითშეფასების კითხვარის შევსება გაკვეთილზე ან გაკვეთილის მიღმა | ინდივიდუალური | თვითშეფასების კითხვარის ფორმა | 1წთ |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი:**

-მოსწავლეებმა დააკავშირეს წინაქრისტიანული რელიგიური წარმოდგენები ხელოვნებასთან და ყოფასთან;

-მოსწავლეებმა მოახდინეს ქრისტიანობის გავლენის შეცნობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე- მატერიალურ თუ სულიერ კულტურაზე; მოსწავლეებმა გაავლეს პარალელი სხვა ქვეყნებთან;

-მოსწავლეებმა განსაზღვრეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულება და შეაფასეს ეს პროცესი ;

**შეფასება:**დაკვირვების ფურცელი წყვილებში მუშაობისათვის,დაკვირვების ფურცელი ჯგუფებში მუშაობისათვის, მიზნის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, თვითშეფასების კითხვარი;

**დაკვირვების ფურცელი წყვილებში მუშაობისათვის:**

1.ყველა წყვილი
2.წყვილების უმრავლესობა
3.წყვილების მხოლოდ მცირე ნაწილი

| **კრიტერიუმები** | 1 | 2 | 3 |
|---|---|---|---|
| წყვილები ფიქრობენ მიცემულ დავალებაზე; | | | |
| წყვილები პარტნიორთან ერთად მსჯელობენ დავალებაზე; | | | |
| წყვილებს მომზადებული აქვთ დავალება საერთო- საკლასო გაზიარებისათვის; | | | |

**დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის**

1.თითქმის არა
2.ნაკლებად
3.საკმაოდ
4.სრულად

| | დროის ლიმიტის დაცვა | თანამშრომლობა | სხვა ჯგუფების მოსაზრებისადმი პატივისცემა | იდეების არგუმენტირებულად დასაბუთება | წარმოდგენილი ინფორმაციის დავალებასთან შესაბამისობა |
|---|---|---|---|---|---|
| I ჯგუფი | | | | | |
| II ჯგუფი | | | | | |
| III ჯგუფი | | | | | |
| IV ჯგუფი | | | | | |

მიზნის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები

| კრიტერიუმები | სუსტი | საშუალო | კარგი | ძლიერი |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლეები აკავშირებენ წინაქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენებს მატერიალურ და სულიერ სფეროსთან | ვერ აკავშირებს წინაქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენებს მატერიალურ და სულიერ სფეროსთან | აკავშირებს წინაქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენებს მატერიალურ და სულიერ სფეროსთან, მაგრამ უშვებს უზუსტობებს | სწორად აკავშირებს წინაქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენებს მატერიალურ და სულიერ სფეროსთან | არგუმენტირებულად აჯგუფებს წინაქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენებს მატერიალურ და სულიერ სფეროსთან. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლეები განსაზღვრავენ ქრისტიანობის გავლენას ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე,ავლებს პარალელს სხვა ქვეყნებთან | ვერ აღწერს ქრისტიანობის გავლენას ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე,ვერ ავლებს პარალელს სხვა ქვეყნებთან | წარმოდგენა აქვს მხოლოდ ცალკეულ სფეროებზე,რომელზედაც შეინიშნება ქრისტიანობის გავლენა,ცდილობს პარალელის გავლებას სხვა ქვეყნებთან | სწორად აანალიზებს ქრისტიანობის გავლენას ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე,ავლებს პარალელს სხვა ქვეყნებთან | განსაზღვრავს და აფასებს ქრისტიანობის გავრცელებას ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე , ავლებს პარალელს სხვა ქვეყნებთან.მოჰყავს კონკრეტული მაგალითი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლეები განსაზღვრავენ და აფასებენ საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულებას ქრისტიანობის გავრცელებისას | არასწორად მსჯელობს საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე ქრისტიანობის გავრცელებისას | ზოგადად მსჯელობს ქრისტიანობის გავრცელებისას საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე | სწორად განსაზღვრავს და აფასებს ქრისტიანობის გავრცელებისას საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებას მხოლოდ მათ შორის არსებული წინააღმდეგობის კუთხით | სწორად განსაზღვრავს და აფასებს ქრისტიანობის გავრცელებისას საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის არსებულ დამოკიდებულებას სხვადასხვა კუთხით.მოჰყავს კონკრეტული არგუმენტები |

**საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები**

| | კრიტერიუმები | სრულად | ნაწილობრივ |
|---|---|---|---|
| 1 | შესრულებული დავალება კითხვის ადეკვატურია | | |
| 2 | პასუხი სრულფასოვანია | | |
| 3 | მსჯელობა გამყარებულია არგუმენტებით | | |
| | | | |

**თვითშეფასების კითხვარი**

| დავალება | ძალიან კარგად შევასრულე | კარგად შევასრულე | ნაწილობრივ შევასრულე | მჭირდება დამატებითი მუშაობა |
|---|---|---|---|---|
| წინაქრისტიანული რელიგიური წარმოდგენების მატერიალურ და სულიერ სფეროსთან დაკავშირება | | | | |
| ქრისტიანობის გავლენის განსაზღვრა ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე,პარალელის გავლება სხვა ქვეყნებთან | | | | |
| საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა და შეფასება ქრისტიანობის გავრცელებისას | | | | |

**ხელმოწერა: / ნ.მაჭარაშვილი/**

**თარიღი:**